ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის
ოქმი №1

25 ივლისი, 2025 წელი

2025 წლის, 25 ივლისს გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის, 23 ივლისის ბრძანებით (№60. 60252049; 23.07.2025წ.) შექმნილი ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

სხდომას ესწრებოდნენ:
- გერასიმე მჟავანაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ჯგუფის თავმჯდომარე.
- გელა ჩოგოვაძე - ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე;
- თამარ უგულავა - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი - ჯგუფის ადმინისტრატორი;
- ნანა კაკაბაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - ჯგუფის მდივანი;
- ლევან ჩიხლაძე -ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - ჯგუფის წევრი;
- გიორგი ბარაბაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის, არქიტექტურის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;
- მარი რუხაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ჯგუფის წევრი;
- მაკა ბუხრაშვილი - ქალაქ ხონში ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ჯგუფის წევრი;
- ბაჩანა ბასილაია - ა(ა)იპ ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი - ჯგუფის წევრი;

დღის წესრიგი

1. ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების 2025 წლის პროექტის "იყავი თანამმართველი და ჩაერთე განვითარებაში" ფარგლებში წინადადებების მიღებისა და ხმის მიცემის პროცედურების თარიღების განსაზღვრა.
2. სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში რეგისტრირებული პროექტების ბიუჯეტის მინიმალური ზღვარის განსაზღვრა;

მოისმინეს:
სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ გერასიმე მჟავანაძემ დამსწრეებს გააცნო სამოქალაქო ბიუჯეტირების 2025 წლის პროექტის "იყავი თანამმართველი და ჩაერთე განვითარებაში" ფარგლებში წინადადებების მიღებისა და ხმის მიცემის პროცედურების სავარაუდო თარიღები,:
- იდეების - საპროექტო წინადადებების რეგისტრაციის პირველი ეტაპი დაიწყოს 2025 წლის 15 აგვისტოდან და გაგრძელდეს 2025 წლის 30 სექტემბრამდე;
- რეგისტრირებულ საპროექტო წინადადებებზე კენჭისყრის პროცედურები დაიწყოს 2025 წლის 15 ოქტომბრიდან. აღნიშნული პროცესი გაგრძელდეს 31 ოქტომბრამდე ან ხონის

მუნიციპალიტეტის 2025 წლის სამოქალაქო ბიუჯეტირების ქვეპროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე;
- სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში რეგისტრირებული პროექტების ბიუჯეტის მინიმალური ზღვარი განისაზღვროს მინიმუმ 10 000 ლარით და მაქსიმუმ 150 000 ლარით;

სამუშაო ჯგუფის წევრებმა დეტალურად განიხილეს დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხი და ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხდომის თავმჯდომარე: გერასიმე მჟავანაძე _____